



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება N 84

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ.დუშეთი

**ქ. დუშეთში, ზანდუკელის ქუჩის ბოლო მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული იყო ტენდერი (SPA 150022090) ქ. დუშეთში ზანდუკელის ქუჩის ბოლო მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, რომელიც არ შედგა.

აღნიშნული პროექტის განხორციელება აუცილებელია. განმეორებით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება კი საჭიროებს სატენდერო პროცედურების დაცვას რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. ზამთრის მოახლოებისა და კლიმატური პირობების მოსალოდნელი გაუარესების გამო, შეუძლებელი იქნება სამუშაოების განხორციელება. შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილობლობას და ითხოვს თანხმობას რათა ქ. დუშეთში ზანდუკელის ქუჩის ბოლო მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

#### გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ქ. დუშეთში, ზანდუკელის ქუჩის ბოლო მონაკვეთის გზის გასწორებ, მოხრეშვის სამუშაოები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 10 610 (ათი ათას ექვსას ათაი) ლარზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი